

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თურსა



**2019 სამეურნეო წლის
ფინანსური ანგარიშგება**

ქ. ბათუმი
2020



BTA Consulting
audit | tax | advisory

BTA CONSULTING LLC

4 Tsitsamuri st.
Tbilisi, 0180, Georgia
Tel: +995 577 757531
+995 593 115290

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „თურსა“-ს

პარტნიორებს და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „თურსა“-ს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო წლის თანდართული ფინანსური ანგარიშგების (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების ანგარიშგების და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების) აუდიტი.

ჩვენის აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა ფინანსურ ანგარიშგებაზე ჰქონოდა საკითხებს, რომლებიც განხილულია „პირობითი მოსაზრების საფუძველის“ აბზაცში, შპს „თურსა“-ს მიერ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, სრული შემოსავლის ანგარიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება) ყველა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აუდიტირებული ობიექტის საერთო ფინანსურ მდგომარეობას მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის პროცესში ჩვენ ვერ მოვახდინეთ ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციაზე დასწრება და ვერც სხვა აუდიტორული პროცედურებით ვერ დავადასტურეთ საწყისი და საბოლოო ნაშთები.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ საწარმოსგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს

„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია, რომელიც მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის, მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, კერძოდ საწარმოს საქმიანობის მიმოხილვას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მმართველობის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს) პასუხისმგებელია საწარმოს ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს საწარმოს შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს საწარმოს ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ საწარმოს არ აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ საწარმოს ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა;
- ვეცნობით საწარმოს კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება საწარმოს შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას;
- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის

დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში საწარმოს მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვითხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ საწარმოს ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე;

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად. მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

**შპს „ბითიეი კონსალტინგის“ სახელით
გარიგების პარტნიორი**

ბესიკ კვაჭანტირაძე

აუდიტორთა სახელმწიფო
რეესტრში რეგისტრაციის
ნომერი
SARAS-A-206872

ქ. ბათუმი, 2020 წლის 29
სექტემბერი

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების ნაწილი - კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „ბითივი კონსალტინგის“ სახელით
გარიგების პარტნიორი



ნეკოტეხიკ კვაჭანტირაძე

აუდიტორთა სახელმწიფო
რეესტრში რეგისტრაციის
ნომერი
SARAS-A-206872

ქ. ბათუმი, 2020 წლის 29
სექტემბერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თურსა



**2019 სამეურნეო წლის
ფინანსური ანგარიშგება**

ქ. ბათუმი
2020

ინფორმაცია საზოგადოებისა და მისი საქმიანობის შესახებ

საზოგადოების სამართლებრივი ფორმა და დასახელება	<i>შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება</i> „თურსა“
საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდი	248435670
საზოგადოების იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი	ქ. ბათუმი, ანგისის დასახლება
საზოგადოების დაფუძნების თარიღი	2009 წლის 21 აპრილი
საზოგადოების ტელეფონი	577 44-11-76
საზოგადოების ელ. ფოსტა	Tursa09@gmail.com
საზოგადოების დირექტორი	ზურაბ ფუტყარაძე
საზოგადოების საქმიანობის საგანი	საცალო და საბითუმო ვაჭრობა სურსათით; სასტუმრო მომსახურება
საზოგადოების დამფუძნებელი	ფ/პ ზურაბ ფუტყარაძე (პ/ნ 61010000528) - 100%

შპს "თურსა"

წლიური ანგარიში 28 სექტემბერი 2020 წელი

ანგარიშში ასახული დროის მონაკვეთი: 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

გვერდი

ფინანსური ანგარიშგების შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების ახსნა—განმარტებითი შენიშვნები

8-25

აქტივები	შენიშვნა	(ლარი)	
		საანგარიშო წელი	საანგარიშოს წინა წელი
		31.12.2019	31.12.2018
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	4	6 421 711	5 575 955
მოკლევადიანი მოთხოვნები	5	160 225	143 102
სასაქონლო-მატერიალური აქტივები	6	2 458 064	2 143 996
სხვა მიმდინარე აქტივები		-	26
სულ მიმდინარე აქტივები		9 040 000	7 863 080
ძირითადი საშუალებები	2	7 737 655	6 568 043
არამატერიალური აქტივები	3	891	1 396
სულ გრძელვადიანი აქტივები		7 738 546	6 569 439
სულ აქტივები		16 778 546	14 432 518

ვალდებულებების და კაპიტალი	შენიშვნა	საანგარიშო წელი	საანგარიშოს წინა წელი
		31.12.2019	31.12.2018
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები		788 569	624 841
გადასახდელი ხელფასები		-	-
მიღებული ავანსები		44 555	30 111
საგადასახადო ვალდებულებები		157 391	36 837
გადასახდელი დივიდენდები		16 000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 006 515	691 789
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		200	200
გაუნაწილებელი მოგება		13 455 846	11 237 856
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		2 315 986	2 502 674
სულ საკუთარი კაპიტალი		15 772 031	13 740 729
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		16 778 546	14 432 518

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თურსა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავლების და ხარჯების კლასიფიცირება ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით

ლარი

	შენიშვნა	საანგარიშო წელი	საანგარიშოს წინა წელი
		31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		10 570 370	11 293 486
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან		47 047	60 543
სხვა შემოსავლები		168 235	138 968
სულ შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		10 785 652	11 492 997
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7 547 564)	(7 953 713)
შრომის ანაზღაურება		(645 204)	(595 610)
საიჯარო ქირა		(280 601)	(239 410)
ცვეთა და ამორტიზაცია		(191 391)	(128 092)
სხვადასხვა საგადასახადო ხარჯები (გარდა მოგებისა)		(44 813)	(27 720)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	7	(223 629)	(400 825)
სულ საოპერაციო მოგება		1 852 451	2 147 626
საპროცენტო შემოსავლები		489 100	250 887
გაუფასურების ზარალი		(24 194)	(29 653)
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		(1 371)	133 814
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		2 315 986	2 502 674
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		2 315 986	2 502 674

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე
მთ. ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თურსა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

პირდაპირი მეთოდი

		საანგარიშო წელი	საანგარიშო წინა წელი
		2019	2018
	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
1	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	5 575 955	3 767 826
2	მიღწევებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	12 608 589	13 383 882
3	მომწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(8 332 447)	(8 580 794)
4	გადახდილი ხელფასი (-)	(499 502)	(476 488)
5	გადახდილი გადასახადები (-)	(1 482 554)	(1 406 207)
6	სხვადასხვა (საბანკო ხარჯი, საკურსო სხვაობა, ქველმოქმედება და სხვა) (+/-)	(57 483)	(61 502)
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 236 603	2 858 891
	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
7	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	(1 629 423)	(1 391 811)
8	მიღებული პროცენტები (+)	489 100	250 887
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 140 323)	(1 140 924)
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
9	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)		
10	გადახდილი დივიდენდი (-)	(254 450)	
11	გადახდილი პროცენტები (-)		
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(254 450)	-
12	ვალუტის კურსის ეფექტი	3 927	90 162
13	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	6 421 711	5 575 955
14	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტების ზრდა (კლება)	845 756	1 808 129

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თურსა

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	11 237 856	-	11 238 056
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-		2 502 674	2 502 674
გაუნაწილებელი მოგების გადატანა	-		-	-
დარიცხული დივიდენდები	-		-	-
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	11 237 856	2 502 674	13 740 730
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-		2 315 986	2 315 986
გაუნაწილებელი მოგების გადატანა	-		-	-
დარიცხული დივიდენდები	-	(284 684)	-	(284 684)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	10 953 172	4 818 660	15 772 031

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე
მთავარი ბუღალტერი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თურსა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(ლარი)

აქტივები	შენიშვნა	საანგარიშო წელი	საანგარიშოს წინა წელი
		31.12.2019	31.12.2018
ფულადი სახსრები და მათ ეკვივალენტები	4	6 421 711	5 575 955
მოკლევადიანი მოთხოვნები	5	160 225	143 102
სასაქონლო-მატერიალური აქტივები	6	2 458 064	2 143 996
სხვა მიმდინარე აქტივები		-	26
სულ მიმდინარე აქტივები		9 040 000	7 863 080
ძირითადი საშუალებები	2	7 737 655	6 568 043
არამატერიალური აქტივები	3	891	1 396
სულ გრძელვადიანი აქტივები		7 738 546	6 569 439
სულ აქტივები		16 778 546	14 432 518

ვალდებულებების და კაპიტალი	შენიშვნა	საანგარიშო წელი	საანგარიშოს წინა წელი
		31.12.2019	31.12.2018
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები		788 569	624 841
გადასახდელი ხელფასები		-	-
მიღებული ავანსები		44 555	30 111
საგადასახადო ვალდებულებები		157 391	36 837
გადასახდელი დივიდენდები		16 000	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1 006 515	691 789
გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
საწესდებო კაპიტალი შპს-ში		200	200
გაუნაწილებელი მოგება		13 455 846	11 237 856
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		2 315 986	2 502 674
სულ საკუთარი კაპიტალი		15 772 031	13 740 729
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		16 778 546	14 432 518

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე
მთავარი ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თურსა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

შემოსავლების და ხარჯების კლასიფიცირება ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით

ლარი

	შენიშვნა	საანგარიშო წელი	საანგარიშოს წინა წელი
		31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		10 570 370	11 293 486
შემოსავალი სასტუმრო მომსახურებიდან		47 047	60 543
სხვა შემოსავლები		168 235	138 968
სულ შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან		10 785 652	11 492 997
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7 547 564)	(7 953 713)
შრომის ანაზღაურება		(645 204)	(595 610)
საიჯარო ქირა		(280 601)	(239 410)
ცვეთა და ამორტიზაცია		(191 391)	(128 092)
სხვადასხვა საგადასახადო ხარჯები (გარდა მოგებისა)		(44 813)	(27 720)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	7	(223 629)	(400 825)
სულ საოპერაციო მოგება		1 852 451	2 147 626
საპროცენტო შემოსავლები		489 100	250 887
გაუფასურების ზარალი		(24 194)	(29 653)
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		(1 371)	133 814
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადამდე		2 315 986	2 502 674
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		2 315 986	2 502 674

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი



ავთანდილ თურმანიძე
მთ. ბუღალტერი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თურსა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

პირდაპირი მეთოდი

		საანგარიშო წელი	საანგარიშის წინა წელი
		2019	2018
	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
1	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	5 575 955	3 767 826
2	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	12 608 589	13 383 882
3	მომწოდებელზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(8 332 447)	(8 580 794)
4	გადახდილი ხელფასი (-)	(499 502)	(476 488)
5	გადახდილი გადასახადები (-)	(1 482 554)	(1 406 207)
6	სხვადასხვა (საბანკო ხარჯი, საკუროს სხვაობა, ქვლმოქმედება და სხვა) (+/-)	(57 483)	(61 502)
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 236 603	2 858 891
	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
7	პირითადი საშუალებების შეძენა (-)	(1 629 423)	(1 391 811)
8	მიღებული პროცენტები (+)	489 100	250 887
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1 140 323)	(1 140 924)
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
9	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)		
10	გადახდილი დივიდენდი (-)	(254 450)	
11	გადახდილი პროცენტები (-)		
	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(254 450)	-
12	ვალუტის კურსის ეფექტი	3 927	90 162
13	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	6 421 711	5 575 955
14	ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტების ზრდა (კლება)	845 756	1 808 129

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი



ავთანდილ თურმანიძე
მთავარი ბუღალტერი




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თურსა

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	11 237 856	-	11 238 056
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-		2 502 674	2 502 674
გაუნაწილებელი მოგების გადატანა	-		-	-
დარიცხული დივიდენდები	-		-	-
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	11 237 856	2 502 674	13 740 730
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-		2 315 986	2 315 986
გაუნაწილებელი მოგების გადატანა	-		-	-
დარიცხული დივიდენდები	-	(284 684)	-	(284 684)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	200	10 953 172	4 818 660	15 772 031

ზურაბ ფუტყარაძე
დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე
მთავარი ბუღალტერი

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თურსა

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „თურსა“-ს მიერ წარმოდგენილი 2019 სამეურნეო წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში - „ანგარიშგება“) მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „მსს ფასს-ები“) შესაბამისად.

ანგარიშგებაში აღწერილია საანგარიშგებო პერიოდში – 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – საზოგადოებაში მომხდარი ყველა სამეურნეო ოპერაციისა და მოვლენის ფინანსური შედეგები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

შენიშვნებში მოცემულია განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ფულადი ნაკადების ანგარიშგებასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია. აქ თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ებით, აგრეთვე ის ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია საწარმოს შესახებ ინფორმაციის სამართლიანი წარდგენისთვის ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების მიხედვით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღივებო პოლიტიკის მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

სააღრიცხვო პოლიტიკა

ზოგადი

ანგარიშგების მომზადებისას სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით. საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს. შემოსავლებისა და ხარჯების (სამეურნეო ოპერაციების) აღიარება-ასახვა, მსს ფასს-ების შესაბამისად, ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, ანუ მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი, ანუ მათი გატარება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და ასახვა ანგარიშგებაში ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიკუთვნებით. საანგარიშგებო წელი (საანგარიშო პერიოდი) ემთხვევა კალენდარულ წელს.

წარდგენის ვალუტა

საწარმოს მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარდგენის ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას - ლარს.

უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

თარიღი	აშშ დოლარი	თურქული ლირა
31.12.2018	2,6766	0,5076
31.12.2019	2,8677	0,4821

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კონვერსიის (წარმოების) დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან, როგორიცაა პირდაპირი შრომა და ნედლეული, და აგრეთვე სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის პროცესში.

გაყიდული (გამოყენებული) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ღირებულების ხარჯად აღიარებისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს. ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე თვითღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებების გადაფასება მის რეალურ ღირებულებამდე ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი საბალანსო ღირებულება მკვეთრად განსხვავდება მისი რეალური ღირებულებისგან.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშების მიზნით გამოყენებულია წრფივი მეთოდი. ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისათვის განსაზღვრულია შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

- შენობები – 17 წელი;
- ნაგებობები – 10 წელი;
- მანქანა-დანადგარები – 10 წელი;
- კომპიუტერული ტექნიკა – 5 წელი;
- ოფისის აღჭურვილობა – 5 წელი;
- ავეჯი და ინვენტარი – 10 წელი;
- სატრანსპორტო საშუალებები – 10 წელი;
- ეზოს კეთილმოწყობა – 10 წელი;
- პროგრამული უზრუნველყოფა – 5 წელი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. თუ არამატერიალური აქტივის სასარგებლო ვადა განსაზღვრული არ არის, მსს ფასს-დან გამომდინარე სასარგებლო ვადად განისაზღვრება 10 წელი. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები

გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში

კომპანია შვილობილ კომპანიაში ინვესტიციებს აღიარებს თავდაპირველი ღირებულებით, მანამ სანამ არ მოხდება ინვესტიციის ბალანსიდან ჩამოწერა ან სანამ არ გაუფასურდება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისათვის. შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი ანგარიშგების წარდგენის დღისთვის, რათა განსაზღვრულ იქნას ადგილი აქვს თუ არა გაუფასურებას. თუ ადგილი ექნება ამგვარ გაუფასურებას, ხდება აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება. დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება მოსალოდნელი დივიდენდის ამჟამინდელი ღირებულებით. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა შვილობილ კომპანიაში ინვესტიციების საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების აღიარება ხდება მოგება-ზარალში.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმოიხილავს თავისი მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებას, რათა განსაზღვროს არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში შეფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი (თუ ასეთი არსებობს). როდესაც შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც მიეკუთვნება ეს აქტივი. როდესაც შესაძლებელია განაწილების დასაბუთებადი და თანმიმდევრული საფუძვლის იდენტიფიცირება, კორპორაციული აქტივებიც ინდივიდუალურ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულებზე განაწილდება, სხვა შემთხვევაში ისინი მიეკუთვნება უმცირეს ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულს,

რომლისთვისაც შესაძლებელი იქნება განაწილების დასაბუთებული და თანმიმდევრული საფუძვლის ინდეტიფიცირება.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შეფასებისას სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და იმ აქტივისთვის სპეციფიკურ რისკებს, რომლის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასება შესწორებული არ არის.

თუ განისაზღვრება, რომ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი მაშინვე მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ მომავალში გაუფასურების ზარალი ანულირდება, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, ისე რომ, გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი რომ არ აღიარებულყო გასულ წლებში.

გაუფასურების ზარალის ანულირება მაშინვე აღიარდება მოგება-ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული

დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

გაუფასურების ზარალი მეკავშირე კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებთან მიმართებაში ფასდება ინვესტიციის ანაზღაურებადი ღირებულების მის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, და გადავა რეზერვში, თუ არსებობს პოზიტიური ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებულ დაშვებებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის (ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავო საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, კომპანიამ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განსუზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ

ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან

კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

რისკების მართვა

თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა აშშ დოლარის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურიზაცია.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე კომპანიის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
თურსა**

ძირითადი საშუალებების მოძრაობა

ლარი

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენიშნა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	1286692	3076115	1771790	0	57820	288037	696277	0	7176732
შესყიდვები		1370976			4853	5039			1380867
ბიზნესის გაერთიანებით მიღებული ძირითადი საშუალებები									0
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია/ჩამოწერა							129500		129500
გადაფასების რეზერვის შექმნა									0
უსასყიდლოდ მიღებული ან გაცემული ძირითადი საშუალებები									0
ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	1286692	4447091	1771790	0	62673	293076	566777	0	8428099
ცვეთა და გაუფასურების რეზერვი									
აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების რეზერვების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	0	0	125728	0	45248	129634	308080	0	608689
დარიცხული ცვეთა საანგარიშო წლის განმავლობაში			108880		1971	15066	64968		190886
საანგარიშო წლის განმავლობაში შექმნილი გაუფასურების რეზერვი									0
საანგარიშო წლის განმავლობაში გასულ ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა							109131		109131
საანგარიშო წლის განმავლობაში უსასყიდლოს მიღებულ ან გაცემულ ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა									0
აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების რეზერვების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	0	0	234608	0	47219	144700	263917	0	690444
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	1286692	3076115	1646062	0	12572	158404	388198	0	6568043
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	1286692	4447091	1537182	0	15453	148377	302860	0	7737655

არამატერიალური აქტივების მოძრაობა

	ლარი			
	პროგრამული ლიცენზია	სხვა პროგრამული უზრუნველყოფა	ვებ-გვერდი	ჯამი
ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	0	5054	0	5054
შესყიდვები			0	0
ბიზნესის გაერთიანებით მიღებული არამატერიალური აქტივები				0
ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	0	5054	0	5054
ამორტიზაცია და გაუფასურების რეზერვი				
აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	0	3658	0	3658
დარიცხული ამორტიზაცია საანგარიშო წლის განმავლობაში		505	0	505
საანგარიშო წლის განმავლობაში შექმნილი გაუფასურების რეზერვი				0
აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	0	4163	0	4163
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 1 იანვრისათვის	0	1396	0	1396
ნარჩენი ღირებულების ნაშთი საანგარიშო წლის 31 დეკემბრისათვის	0	891	0	891

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	საანგარიშო წელი	ლარი საანგარიშოს წინა წელი
	31.12.2019	31.12.2018
ფული სალაროში	22 583	92 320
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	43 638	483 634
ფული დეპოზიტზე	6 355 490	5 000 000
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6 421 711	5 575 955

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	საანგარიშო წელი	ლარი საანგარიშოს წინა წელი
	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან	179 268	164 874
მიღებული ავანსები	5 151	7 390
გაუფასურების რეზერვი	(24 194)	(29 653)
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	-	492
სულ მოთხოვნები	160 225	143 102

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	საანგარიშო წელი	ლარი საანგარიშოს წინა წელი
	31.12.2019	31.12.2018
საქონელი	2 452 600	2 135 621
სხვა სასაქონლო მარაგები	5 464	8 375
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	2 458 064	2 143 996

სხვა და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი

	საანგარიშო წელი 31.12.2019	საანგარიშოს წინა წელი 31.12.2018
საკანცელარიო ხარჯი	166	466
სამეურნეო ხარჯი	-	1 574
ბანკის საკომისიო	36 099	28 493
კომუნიკაციის ხარჯი	8 455	37 764
კომუნალური ხარჯები	45 316	35 199
საკონსულტაციო ხარჯები	3 000	3 024
ტრანსპორთან დაკავშირებული ხარჯი	101 092	161 210
დაზღვევა	10 765	12 991
დაცვის ხარჯი	-	1 373
სასტუმროს ხარჯი	1 930	9 879
რემონტის ხარჯი	-	69 331
მივლინების ხარჯი	16 806	39 518
სულ ხარჯები	223 629	400 825

შენიშვნა 8

დაკავშირებული მხარეები

	საანგარიშო წელი 31.12.2019	საანგარიშოს წინა წელი 31.12.2018
დირექტორატის ხელფასი	22 500	67 500
სხვა უმაღლესი რგოლის ხელფასი	-	-
სულ ოპერაციები დაკავშირებული მხარეებთან	22 500	67 500

ანგარიშგების შედეგის თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ვირუსი, რომელიც განეკუთვნება კორონავირუსების ტიპს. მას უწოდეს COVID-19.

2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა ამ ვირუსით დაინფიცირების. ანგარიშგების შედეგის თარიღისთვის ქვეყანაში არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ აქტივობებს, თუმცა სურსათით ვაჭრობა, რომელიც საწარმოს ძირითადი საქმიანობის საგანია, კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას

გამომდინარე აქედან, შპს „თურსას“ ხელმძღვანელობამ ანგარიშგებაში არსებული დაშვებებისა და განუსაზღვრელობების გადახედვით მიზნით გაითვალისწინა როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), ასევე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პროგნოზები და საწარმოს ხელმძღვანელობას არ მიაჩნია საჭიროდ საექვო ვალების ანარიცხების შექმნა (გარდა შექმნილისა), ასევე ექვევემ არ აყენებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას.

ზურაბ ფუტყარაძე

დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე

მთ. ბუღალტერი

ანგარიშგების შედეგების თარიღის შემდგომი მოვლენები

2019 წლის ბოლოს ჩინეთში დაფიქსირდა აქამდე უცნობი ვირუსი, რომელიც განეკუთვნება კორონავირუსების ტიპს. მას უწოდეს COVID-19.

2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში დაფიქსირდა პირველი შემთხვევა ამ ვირუსით დაინფიცირების. ანგარიშგების შედეგების თარიღისთვის ქვეყანაში არსებობს გარკვეული შეზღუდვები, რომელიც აფერხებს ეკონომიკურ აქტივობებს, თუმცა სურსათით ვაჭრობა, რომელიც საწარმოს ძირითადი საქმიანობის საგანია, კვლავ აქტიურად განაგრძობს მუშაობას

გამომდინარე აქედან, შპს „თურსას“ ხელმძღვანელობამ ანგარიშგებაში არსებული დაშვებებისა და განუსაზღვრელობების გადახედვით მიზნით გაითვალისწინა როგორც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), ასევე საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს პროგნოზები და საწარმოს ხელმძღვანელობას არ მიაჩნია საჭიროდ საექვო ვალების ანარიცხების შექმნა (გარდა შექმნილისა), ასევე ექვეყნე არ აყენებს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებას.

ზურაბ ფუტყარაძე

დირექტორი

ავთანდილ თურმანიძე

მთ. ბუღალტერი



შპს „თურსა“

2019 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა

ბათუმი
2020

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თურსა“ (შემდგომში „საწარმო“) წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრირებულ იურიდიულ პირს. საწარმომ სახელმწიფო რეგისტრაცია გაიარა 2009 წლის 21 აპრილს ბათუმის საგადასახადო ინსპექციის მიერ, სარეგისტრაციო ნომერი 3207 და მიენიჭა საიდენტიფიკაციო ნომერი 248435670. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია - ქ. ბათუმი, ანგისის დასახლება.

საწარმოს დამფუძნებელია ფ/პ ზურაბ ფუტყარაძე პ/ნ 61010000528, რომელიც ფლობს კომპანიის წილის 100% -ს,

საწარმოს საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს ვაჭრობა.

1.2. დარგის მიმოხილვა

დარგის ეკონომიკური სიტუაცია მნიშვნელოვან ზრდას განიცდის. ამის ხელშემწყობი ფაქტორია ვაჭრობის განვითარება ქვეყანაში. გამომდინარე აქედან, ბაზარი არის ძალიან დიდი და შესაბამისად, მაღალია კონკურენცია.

კომპანია ძირითადად ოპერირებდა აჭარის რეგიონში, ქ. ბათუმში, მაგრამ ბოლო წლებია დამატებული არის ახალი მაღაზია ქ. თბილისში.

2. 2019 წლის საქმიანობის მიმოხილვა

2.1. საზოგადოების საქმიანობის ფინანსური მაჩვენებლები

2019 წელს საწარმოს საოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 10 785 652 ლარი, რაც 707 345 ლარით ნაკლებია 2018 წელთან შედარებით. შემცირება გამოწვეულია ბაზარზე გაზრდილი კონკურენციით, ასევე ქვეყანაში არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრების ცვლილებით, ისეთი როგორიცაა დევალვაცია და ინფლაცია. მიუხედავად ამისა, საწარმოს ფუნქციონირებას

რეალური საფრთხე არ ემუქრება და მიუხედავად გაზრდილი კონკურენციისა ბაზარზე არსებულ თავის წილს ინარჩუნებს.

ამავე პერიოდში საწარმომ განაახლა მშენებლობა ქ. ბათუმში, აღმაშენებლის ქუჩაზე. ეს არის მარავალფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობა, სადაც განთავსებული იქნება ბიზნეს ცენტრი, სასტუმრო, რესტორანი. ასევე საწარმოსთვის გამოყოფილი იქნება სასაწყობო ფართი.

3. საწარმოს განვითარების პერსპექტივები და რისკები

3.1. მომავალი პერიოდების აქტივობები

საწარმოს განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საწარმოს შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- საწარმოს მომსახურების საიმედოობისა და ხარისხის ამაღლება;
- ახალი სავაჭრო ობიექტის გახსნა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საწარმო ახორციელებს სავაჭრო ცენტრის მშენებლობას, რომლის დასრულებასაც იგეგმებოდა 2020 წლის ზაფხულისათვის, მაგრამ მსოფლიოში არსებულმა გრიპის პანდემიამ შეაჩერა გახსნის პროცესი და მომდევნო, 2021 წლისათვის გადაიდო.

3.2. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა

საზოგადოების საქმიანობაში შესაძლო რისკებს, რომლებმაც შესაძლებელია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოების საქმიანობაზე, წარმოადგენს:

დარგობრივი რისკები. დარგობრივ რისკებს შეიძლება მიეკუთვნოს:

- სატრანსპორტო რისკები;
- პოლიტიკური რისკები;
- საკანონმდებლო რისკები.
- კონკურენციის გამძლიერების რისკები;

ქვეყნის და რეგიონალური რისკები. ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

აჭარის რეგიონისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, რაც ზემოქმედებას ახდენს შპს „თურსას“ ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობასა და ოპერაციების რენტაბელურობაზე, ძირითადად ხელსაყრელია. რეგიონში არ არსებობს შესაძლო საომარ კონფლიქტებთან, საგანგებო მდგომარეობისგამოცხადებასა და გაფიცვებთან დაკავშირებული რისკები.

ფინანსური რისკები. თავისი საქმიანობის პროცესში საზოგადოება ექვემდებარება ფინანსური რისკის სხვადასხვა ფაქტორებს, უცხოური ვალუტის კურსის, საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენის, საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დაუცველობის, გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის რისკის ჩათვლით.

ინფლაცია და სავალუტო კურსი. საზოგადოება ექვემდებარება სავალუტო რისკს შესყიდვებსა და კრედიტებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოხატულია ლარისაგან განსხვავებულ ვალუტაში. საზოგადოება არ ახორციელებს კომპანიის სავალუტო რისკისადმი დაქვემდებარების დაზღვევას. ქვემოთ მოცემულია ლარის კურსის დინამიკა უცხოური ვალუტის მიმართ საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

თარიღი	31.12.2019	31.12.2018
აშშ დოლარი	2,8677	2,6766
ევრო	3,2095	3,0701
თურქული ლირა	0,4821	0,5076

საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან დაკავშირებული რისკები. შემოსავალი და საოპერაციო ნაღდი ფულადი სახსრების მოძრაობა, არსებითად, არ არის დამოკიდებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებზე. საწარმო ექვემდებარება საპროცენტო

განაკვეთის რისკს საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი კრედიტების საბაზრო ღირებულების მერყეობის გამო.

საკრედიტო ხელშეკრულებების პირობებთან დაკავშირებული რისკები. საწარმოს ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საკრედიტო ხელშეკრულებების პირობების დარღვევის რისკი მომავალში ნაკლებად სავარაუდოა. თუ მოსალოდნელია ასეთი ფაქტი, საწარმო შეეცდება მოახდინოს სესხის რესტრუქტურირება.

გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვასთან დაკავშირებული რისკები. გადახდისუნარიანობის და ფინანსური მდგრადობის დაკარგვის რისკის ძირითად ფაქტორს, რომელიც ზეგავლენას ახდენს საწარმოს ლიკვიდურობაზე წარმოადგენს გარე კრედიტორების, მეწილეების და სხვა კონტრაგენტების წინაშე შპს „ზიმო-7“-ის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობის არარსებობა. საბრუნავი კაპიტალის დეფიციტი იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდას და საზოგადოების საოპერაციო მოგების შემცირებას.

სამართლებრივი რისკები. სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში სახელმწიფო რეგულირების ცვლილების შედეგად.

3.3. ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან დაკავშირებული რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემის მიმოხილვა

რისკების შიდა კონტროლის და მართვის სისტემა, რომელიც დაკავშირებულია ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესთან, შედგება რამდენიმე ეტაპისგან:

1. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების უტყუარი ფორმირების უზრუნველყოფის კონტროლი, რომელიც შეესაბამება შემდეგ მოთხოვნებს:

არსებობა და წარმოქმნა – აქტივები, ვალდებულებების და საკუთრების უფლებები არსებობს ანგარიშგების თარიღისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციები ასახავს მოვლენებს, რომელთაც ნამდვილად ჰქონდა ადგილი საანგარიშო

პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.
3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

ზურაბ ფუტყარაძე

დირექტორი

ქ. ბათუმი, 2020 წლის 28 სექტემბერი

პერიოდში;

სისრულე (დროულობა) – ყველა ოპერაცია და სხვა მოვლენები და გარემოებები, რომელთაც ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდში და ექვემდებარება აღნიშნული პერიოდისთვის მიკუთვნებას, ფაქტობრივად ასახულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში და ფინანსურ ანგარიშგებაში;

უფლებები და ვალდებულებები – საზოგადოება უფლებამოსილია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ აქტივებზე და პასუხისმგებელია ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშო თარიღისთვის ასახულ პასივებზე;

შეფასება და განაწილება – ყველა აქტივი, პასივი, შემოსავალი და გასავალი ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში კორექტულ შეფასებაში და ბუღალტრული აღრიცხვის მოქმედი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

სიზუსტე – ყველა ოპერაცია დათვლილია, დაჯამებული და ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში და ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად - არითმეტიკულად ზუსტი ციფრებით და პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის შესაბამისად;

წარდგენა და გახსნა – ფინანსური ანგარიშგების მუხლები აღწერილია სათანადოდ, კლასიფიცირებული და გახსნილია.

2. იმ რისკების მართვის უწყვეტი პროცესების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად, გამოვლენა, შეფასება და დროული რეაგირება, რაც ზემოქმედებას ახდენს ფინანსური ანგარიშგების არასარწმუნოებაზე.
3. უტყუარი მონაცემების შედარება – ხორციელდება ინფორმაციის ორ და მეტ წყაროს შორის წინააღმდეგობის არარსებობის კონტროლი, თავდაპირველი მონაცემების უტყუარობის დამტკიცების მიზნით (ფინანსური ანგარიშგების მუხლები კონტრაგენტებთან/სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან).

ზურაბ ფუტყარაძე

დირექტორი

ქ. ბათუმი, 2020 წლის 28 სექტემბერი

